

ପାଦମାଳା  
ଶୁଭୋଗମାଳା

ରାମଦିଲ୍ଲିଶ୍ଵର



# პარტანე სახელმწიფო

ლამის წერილი

ეს ლამი არის მეტად ძველი.  
ის შემთხვევაში განცხადეთ  
მის განვითარების დროს და მის განვითარების დროს.  
11.11.2000.



თბილისი  
“მერანი-3”  
2000

## რედაქტორისაგან

- მომრძანდი, კოიდი იყოს შენი ფეხი! - ასეთი სიტყვებით არ გაჩერებიან ახალიერა ავტორების პოეზიის ტახტის ქურუმი. ამ რეალობას უნდა შეფრთვდეთ, რამდენადაც მკაფრია იგი, იძღვნადაც დე ფაქტო გახლველი და ოულაში თვითმმართველობის, თვითგამოხატვის საშეჯლია, მიუკავდოთ ფერი ვახტანგ სუხიტაშვილს - ახალგაზრდა პოეტს, რომელიც უწევდოდ ამატებული მასაჟოს სტრიქონს „დრუჟლინი შარვლიდან:“ „Иду красивыи двадцатидвухлетний“ და ოუმჯუ ოცვაორისა ჯერ არ შესრულებულა ამ ლაქსების შემოწმედი, მისი მეომედება, როგორც მკონხველს და თავად მელექსებ.

ვახტანგის და სიტყვის ჭიდილი იგრძნობა წიგნის ფურცლებზე ავტორი ძიების პროცესშია და ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს თუ თავისსავე მრწამისს არ უღალატა. ისევ დიდი ბადდაოველი მასსენდება: „ნამდვილი პოეტი შიძმილით მოიკლავს თავს, სანამ კარგ რომას არ იძოვს“.

გორის ლიტერატურულ სკოლის ახალი, საინიცირებო ძალა ემატება. მაშ, ასე, -

სიტყვა გძლვა მომავალ თაობას!

F 81227

## భాషా ప్రాణిల్లం

భాషింగ్ రింగ్, భాషికార్యాలై,  
 మంచికార్యి...  
 గె సిరిజిట్ నేపిండ్ డిఫెబ్ జ్యల్లి  
 గ్రంథంలోనే తార్యి...  
 భా రాం అ జీవ్ దా అతామామికే  
 భాషీ జీవ్ నొ,  
 మాండ్ గాంస్ మిల్ డాఫ్ అర్జ్ ల్లి  
 డిల్లిల్ గ్యుగ్ నొ.  
 భాషింగ్ రింగ్, భాషికార్యాలై,  
 భాషికార్యి,  
 మంచికార్యి నేపిండ్ నొకార్జ్ ల్లి  
 భాషికార్యి,  
 విస్, రాం మాన్ క్యా వ్యార్ స్యాల్ మా భా  
 భిర్ ఫ్యాల్ మా, -  
 బ్యెఫ్ ల్లితాన్ బాస్ మి డిల్లిల్ నెస్ మా  
 మ్యెఫ్ ల్లిత మా.  
 భాషింగ్ రింగ్, భాషికార్యాలై,  
 భాషికార్యి...  
 భీమి నొప్పిట్ ల్లియ్ నామత్వోభ్ ల్లేవ్  
 భ్యెర్ మి ఝ్యెర్...  
 అంచ మిత్క్యామి రా జ్యెత్జ్యె -  
 జ్యెల్లితా జ్యెబీసా,  
 ప్రంప్రసాద్ నెస్ జ్యెల్లిల్, - జ్యెర్ భ్యెప్ప్ జ్యెల్లి  
 జ్యెబీసా.

არც იმას ვიტევი, თუ ვით ექცა  
 ვნების გალია  
 დიდ საპერობილები, - ვინც წეურვილი  
 ნებით გალია...  
 მცირებ ისმინა ამ ცხოვრების  
 ამო საარი,  
 ვეღარ შეიცნო, სად მშვენების  
 ამოსნა არი.  
 ...და თუ ეს დამე მომავალის  
 სხივმა არეკლოს,  
 დავაგუგუნებ ზეცის თაღზე  
 რწმენის სამრეკლოს,  
 და ვიტევი: ის, რაც დამიხატავს,  
 დამიმდერია,-  
 ის სიხარული, არნახული  
 დამის ფერია!..



## ვათით...

მიუვარდა შენი თვალის ფერი,  
 მიუვარდა შენი სულის ღელვა,  
 ვით სიო, თრთოლვით მონაფერი,  
 ვით ტრფობის გაშლილ მინდვრის ქელვა.

შევნატრი აპრილს ქვირტდაბერილს  
 და შენი მკერდის აკოკრებას,  
 ქალწულის თითებს, ეელს აღერილს,  
 ვნებების ცეცხლად ამომკრებავს.

აღარ მსურს ნატვრით შეჯერება,  
 და თვალს ვაშორებ იმ ლამაზ წევილს,  
 წუთით, სიცოცხლე შეჩერდება...  
 მიხმობს ცხოვრება, - სულაწვეტილს.

## თუ გინახავს

უჩუმრისპირად შეიჩარა მთვარის კამათში  
ზაფხულის დიღა, - ეფერება ცეცხლით საფირონს...  
მშვენიერებამ შემიფარა სხივთა გამაში, -  
მორჩილი ტალღით ეპარება ზღვაც სანაპიროს.

მაგრამ სულ სხვაა, თუ გინახავს, ზღვაზე - დაისი...  
გულიც ნეტარი ტრფიალების წუთებს იკონებს,  
და სიხარულით სულს გინამავს რწმენა გაისის,  
ტალღა ზეციურ ბრწეინვალებას როცა იკონებს.

ამ უჩვეულო ჰანორაშით დამუნჯებულა  
თითქოს სამეარო, - უხილავი დროის მდევარი,  
პორიჭონტზე კი ელფარება დაუნჯებულა, -  
დამის მთვარი...



პოეზიის ეაუაჩოსფერ  
 მინდორ-ვეღზე ნავარდი -  
 ჰგავს სიამეს, ოდეს მოპბერს  
 სურნელება, ნავარდი.  
 ჩირაღდანი სიხარულის  
 მოკაშკაშედ ზმანებდა,  
 არ იახლა თვალმა რული  
 ტაქ ლამაზმანებთან.  
 მაქროლებდა რითმის ჭარი  
 ათას ქარიშხალივით,  
 მომელოდი, მით ვიჩქარი,  
 მეც, მარტოსულ ქალივით.  
 არც უინ მათობს, ჩემო ლექსო!-  
 კრთომით, შენებრ აღებით.  
 ბგერებივით შემოგექსოვ,  
 კთხოვ, ნე შეგებრალები!..  
 თუ, ზეიადი, შენებური  
 სიამაუე მომენთო,  
 მშვენიერო! - კვლავ მეფური  
 სიბრძნით უნდა მომენდო.




ოოგორც უოველთვის,  
 სიამაუეს  
 დღესაც უხდება -  
 შენი ზეიადი მზერა,  
 თითქოს ვნების მდინარე...  
 და კიდევ ურთხელ  
 უფსურულიდან ამოქუხდება -  
 სული მმინარე.  
 გზად, სიუვარულით,  
 ამედევნა  
 ღვინო მგზავრივით, -  
 მე ამ სიუვარულს  
 მინდა ლოთურ ქინით მჩარავდნენ.  
 წლები, სიცოცხლის გამოზრდილნი,  
 დინოზავრივით -  
 დაპატარავდნენ...  
 მაწვიმს მაისი,  
 ოოგორც შენი  
 ალერსი თბილი;  
 დნება სიცოცხლე  
 უჩვეულო საღამოებად...  
 და ისევ გვიხმობს  
 წევდიადიდან ხელგამოწვდილი  
 ამაოება...

## სიზმარი

წესელ, სიზმარში -  
 ცეცხლი ვიუავი,  
 მანათობელი  
 ავხორცი ბნელის,  
 მაგრამ სილადე  
 ვერ გავიუავით...  
 მზის სხივს შევაკვდი  
 მოუღოდნელად...  
 არა მჯეროდა მისი,  
 უდავოდ,  
 მსურდა ბურანში  
 გასეირნება, -  
 ეს ბოჭემური სმა  
 სამუდამოდ  
 ჩაქლა ნათელმა,  
 ასე ინება...  
 გადაეფინა  
 ჭეცას ჩარდახად  
 ზაფხულის მხურვალ  
 დღეთა ალება,  
 ცხოვრებასავით  
 ჭრელი ჩანდა სან  
 რიერაჟი,  
 ღიაცისფერთვალება.

და იფრქვეოდა  
სიცოცხლის ფეთქვა,  
მზემაც ის ღამე  
ცეცხლში არია...  
მსურდა, განთიადს  
ერთხელაც ეთქვა -  
როგორ სრულდება  
ბნელის არია.  
გამომეღვიძა -  
თუ სიზმარია?!  
ეჭ, სულ ერთია,  
დავწერ ამაზე  
ორიოდ სტრიქონს,  
და მისარია...  
სიცოცხლე ჩემი  
ამ ქვეყანაზე...



## სიცოცხლის რჩევა

ვიდრე ჩაგიქრავს ხვალ სამარის  
 ცივი სარქველი,  
 ჩაგეხუტება თეთრ ზეწრებად  
 ბნელი სიავე -  
 ნუ დაივიწებ, შენ სარ ჩემი  
 სიზმრის მქარგველი!..  
 ღღეს მიგატოვებს გუშინდედზე  
 შეტი სიამე,  
 მაგრამ არასდროს შეაგებო  
 სევდა შარშანდელს,  
 არ განგადიდებს სიკვდილისკენ  
 რწმენის გადახრა.  
 ...და რაოდენი სიამაუეც  
 გდევდა, არ ჩანდეს -  
 ეს შეუძლოა... სანამ შიშა  
 სული გადახრა.  
 რა გაწრიალებს?! - სად იძოვე  
 ჟალბი კურცხალი?  
 კარგად მისმინე: - წუთისოფლის  
 ბედერულ თამაღას!  
 მე უკვდავებას ვერ გიბოძებ,  
 მაგრამ პურ-წეალი  
 უსიკვდილოდაც მოიპოვე,  
 თუ გნურს თავადა.

ნურც მოინდომებ შენ დიდებულ  
 ბრძენთაბრძენობას,

თვითონ ცხოვრებამ შენი უოფნა  
 აგერ ინება.

ტბილად შეირგე, ნუ დასწევლი  
 სიცოცხლის ნობათს, -

ღიად სიამეს, სამარედ რომ  
 „იგვირგვინება“.

რადგანაც ასე გაგიტაცა  
 ჩემმა ტრფიალმა, -

ერთსაც გეტუოდი, უერი მიგდე:  
 სიკვდილის პირად

რომ გადმომხედავ, სიხარულმა  
 გულს თუ იელვა,

ჯოჯოსეუთშივე დაამარცხებ  
 ბნელეთის ტირანს;

- შენც, ქვეუნად რწმენით ნაფერმქრთალო,  
 დროის ურჩხულო! -

არ დაივიწუო ტბილ რჩევათა  
 ამო ქრებული,

რომ კიდევ ერთხელ თვით სიცოცხლეშ  
 დამიჩურჩულოს,

თუნდაც საფლავზე, სიუვარული  
 აგოგრებული.



მაყერე შენი ნაზი თითები...  
 მაჩუქე შენი ღიმილის ფერი...  
 მასუნთქე შენი სუნთქვა დიდებით,  
 დღესაა შენი მშვენების ჯერი.

სავერდოვანი ქრეოლა ამიტანს  
 და შემოგხედავ ისევ თამამად,  
 შემომეხვევა, როგორც თავიდან,  
 სულზე ტრფიალი, ვნების სანამად...

როცა გრძნობების იმპერიაში  
 კვლავ შენი მკერდი დაიკვავილებს,  
 სუნთქვა გადმოფენს სურნელს შრიალში,  
 დამკრავს იმედს და სევდას დამილევს.

...სისპეტაკეში თხელი თითების, -  
 ნაოცნებარი ციდან მოვეშვი...  
 და იღვენთება წამთა დიდება  
 ვნებების მღვრიე ფერის მორევში.

## ვიასპო

შირველმა ლექსმა საოცრება ჰქოვა სახელად, -  
 ამ საოცრებას სიუვარულის ერქვა გამხელა.  
 მეტაფორებით ბუნდოვანი ფიქრი დავრაზმე  
 და გადმომხედა მოწეალებით „ჩემმა სხიამ“ ხელად.

შემომცეკვეროდა სურნელოვან თმების ჩეროდან,  
 ჩემი დიდების მწვერვალებთან ეოფნა მჯეროდა...  
 თაფლისფერ თვალზე მოციალე სხივთა ნათელი  
 მსურდა, სტერაკი სტრიქონების ცეცხლში მჯეროდა.

მაგრამ გონების ნაკარნახევს თვალის რიდებამ  
 და მათრობელი ნეტარებით სავსე რითმებმა,  
 გვიან შეიცნეს, ატეორცნილი, ღრუბლებზე მაღლა -  
 თეთრი მტრედივით გაფრენილი ჭეშმარიტება.

## თბელი

ჰეპელასავით აწედება  
იმ ნათელ წერტილს  
იმედის,  
და არასოდეს მარცხდება  
სიცოცხლე -  
რწმენის ქიმები.  
ტქბილია,  
მიტომ არ წედება  
ტრფიალით ნააქიშები.



მე გადავივლი ჭეცის უღრანებს  
 ამ შემოდგომის ტევიისფერებით,  
 მშიერ მგლებივით ნეკნებს უხრავენ  
 რითმები სევდას, ჩუმი მღერებით.  
 ოცნებას თითქოს შეჰუვითლებია  
 ფრთები, - ფოთლების მსგავსად დამჭვნარა...  
 წუთები ეინვით შეითვლებიან,  
 დღემ ცივი მთვარე ამოამთქნარა.  
 მე შევაზავებ მელნის აქვარელს,  
 რომ თვით სიცოცხლემ სისხლით დამსახოს.  
 მოვფერებივარ წლებს შესაუვარელს -  
 ვით შემოდგომის ფერმერთალ დამდასო.  
 საუკუნეთის ბოლო აკვნიანს  
 ჩვილივით შევტრფი ამო წელიწადს,  
 და სიხარულსაც მპერდხე აერია  
 ბგერები, მბრწყინავ სამოსელისა.

## მინდა გეორგოვლე

მინდა - გეტრუოდე მარად...  
 შენთვის კიცოცხლო მინდა,  
 შენი მომავლის ქარად  
 წარსულს ვემთხვიო წმინდად.  
 ქართული მიწის ფერი,  
 სიმკვიდრე მისი ფიცის...  
 რწმენა თევდორე ბერის,  
 ტრფობა სიკვდილმაც იცის.  
 სულო, ამ რწმენით მშველი! -  
 თბილი, ვით მმობლის ქალთა,  
 საუკუნეთა მცველი,  
 აღმგზნები ცეცხლის ალთა.  
 მე მველ ღიდებას ველი, -  
 ქართულ მკლავს თუ დასცალდა...  
 და იმ მშვენებით მწველი -  
 სმალს მოტრფიალე ქალთა  
 ახლაც მაოცებს წამ-წამ,  
 გულის უოველი მისხლის  
 ხმა, - ვით ავლტობდა წამწამს  
 მათი ცრემლი თუ სისხლი.  
 მინდა - გეტრუოდე მარად  
 ქართული გულის მმგერი,  
 და დავტებე... მომავლის ქარად -  
 წარსულ ღიდების მჟერით.



წუთისოფელმა სიმართლის ნაცვლად  
 მურალი სიცრუე ჩამომიმარცვლა,  
 გადმომილოცა კრიალოსანი -  
 ბრილიანტისფერ ცრემლების აცმა.

ჰუოფნის სიკეთე ამ სიბოროტეს? -  
 არა მგონია, მხსნელად მხოლოდ ეს  
 გვექმნას სიტუაცია გრგვინგა-გრიალი,  
 რწმენის სხივი კი ბნელს მიჰუოლოდეს.

მინდა ზე სვლა, თან ეოფნა მსურს დაბლა, -  
 მიწაზე ვაროვო სიმართლე სახლად,  
 რომ სიამაუით გვლავაც ვიტეოდე:  
 „ჯეშმარიტება გათანგავს მსახვრალს!“

## ცხრამეტი ტელი

როგორც მდუმარე ლანდი სიკვდილის,  
შემოაბიჯებს სიცივით ქარში, -  
მივეფერები ცრემლს ფერმისდილი,  
გავისეირნებ თცნების ქარში.

წავალ და არად მომეჩვენება  
განეღილი ჩემი ცხრამეტი წელი,  
გარდაუვალი დღეთა მშვენება,  
და ისევ ნატვრა მამარცხებს ძველი.

კცდილობრი, თუმცა მე ვერ გავიგე  
უკაცრიელი წუთისოფელის.  
და განმირისხდა არსთა გამრიგე  
დამსაჯა - მისი უარმეოფელი.

როცა უველასგან მიტოვებული  
თილისმად მკურნალ რითმებსა ვქსოვდი,  
ჩემივ სიცოცხლით თვითონჭნებული  
ქვეუნად არავის აღარ ვახსოვდი.

გრძნობათა მმღავრი შადრევანები  
ჩუქურთმებივით იქარგებოდა,  
ოქროსფრთიანი ტახტრევანები  
იქმნებოდა და იკარგებოდა.

ბევრი ემებდა... ბევრი კარგავდა...  
 მოპოვებულით ბევრი სარობდა...  
 სული ზეციურს მაინც არ გავდა,  
 ხორცი კი სულთან არა დარობდა.

თითქოს ჰდებით ნდობის მარცვალი  
 და ქვავდებოდა, - ვით ქანდაკება,  
 მაგრამ დაღლილი, რწმენა ნაცვალი,  
 სული მდედარე ცრემლმა დაკეპა.

ცრემლი კი რაა?! - თუნდაც რომ მისმა  
 ჩივილმა იხმოს დგთიური წარდვნა,  
 უდაბნოსა შინ ლადადი ისმა,  
 ნაჲი გრძნობა კი ცოვრებამ გარევნა.

ვინ შეისმინოს ჩემი მუდარა,  
 ვით ავუპრძალო იმედს თარეში?  
 მეფაროს მარად რითმის სუდარა  
 და ვიწვე ლექსთან, მშვიდ სამარეში...

ხმავ სიუვარულის - გადამარჩენო,  
 მწეალობლად შემრჩი, ამად მოგელი,  
 ისევ შენთან ვარ, სიცოცხლევ ჩემო! -  
 არ მომიხდია სამადლობელი.

## პოეტის გარდაცვალება

...ნახევრად ღია ფანჯრიდან  
 მოჭამს ღრუბელი სილალეს,  
 ბასრი ხმალივით დაჭრიდა  
 თეთრი ოცნების ცივ ლაქებს  
 შეგონა, - ცრემლის მტევანი,  
 თვალის მომჭრელი, ციმციმა  
 რითმების არ მაქვს ტევანი,  
 სტროფის სიმრავლემ იმძიმა...  
 და ჩამოინგრა ზეციდან  
 ბგერათა მეტეორები,  
 სტრიქონებივით შეზიდა  
 ლექსმა ქაფური მორევის  
 სიღრმეში სიტუაის ღვარები...  
 ჰოეტურ, მომცრო სურვილით  
 ოცნებას შევეხარები  
 რითმებით ოქროცურვილი.  
 სიცოცხლეც მისთვის ბიბინებს,  
 ღელფას რომ მელნით მიწურავს.  
 ღექსებით გადავირბინე  
 ზეცა... და ქვექნელს მივცურავ...



სიუვარულიდან სიძულვილამდე,  
 ამბობენ, ერთი მცირე ბიჭია...  
 და შენი ხატვრა მის სურვილამდე  
 დაუნდობელი ლტოლვის ნიჭია.

სიუვარულიდან სიძულვილამდე  
 გადახლართულა გრძნობის რელსები, -  
 ადარ მოგიყდავს ის წეურვილს ამდენს,  
 სიზმარშიაც ნუ ეაღერსები.

„არ მიგატოვებს ფიქრი სნეული!“ -  
 თითქოს ჩაგესმის ხმა გასახარი,  
 მომავალმჯნარი, ბილწი სხეულიც  
 გეხვევა, არ ჩანს გზაგასაუარი.

სიუვარულისგან გადარეული  
 დაეწაფები შარბათს შხამისა,  
 ვარსკელავთ ბრწეინვამი გადარეული  
 ღრუბლებში სუნთქვა დაქრის ღამისა.

საღღაც მორეთში ისევ ციმციმებს  
 ძველი სიწმინდის ქრიალოსანი,  
 დიდებით არხევს რწმენა იმ სიმებს,  
 სიცოცხლეს ლექსად ღვრიან მგოსანი...

სიუვარულიდან სიძულვილამდე  
 ამბობენ, ერთი მცირე ბიჭია...  
 და შენი ხატვრაც მის სურვილამდე  
 დაუნდობელი ლტოლვის ნიჭია.



ტრიალებს ღრუბელი, თავიზააბნეული,  
 და ვერ უპოვია ციური სინაზე.  
 გათბება იმედით მეინჯარი სხეული, -  
 ცრემლებად ვიწვიმებ მაგ სარკმლის მინაზე.  
 უცვლელი ფერებით სულს ამოეშანთა  
 ზამთარი, - ბუნების ამაუი ტიტული,  
 ისევე მარტო ვარ დღეს თბილ კაეშანთან,  
 ვით გუშინ ვიუვი - ოცნების ფიტული.  
 ...და უცებ ვიგრძენი: - ღროებას ვერევი!  
 მმლავრობენ წუთებზე ვნებათა ფესვები,  
 უფერულ ზეცაში სისხლისფრად ვერევი -  
 მომავალს სიცოცხლით გადავეკვესები;  
 შევხმატებილებულვართ დღეს მე და ბუნება,  
 სიუვითლით მაცილებს ფოთლების კოპორტა,  
 მშიერი სინაზეც შემეგაპუნება  
 ოქტომბრად გამლილი ვარდების კოკორთა.



◆ ◆ ◆

მე შენი სახე იმ არნახულ  
ფრესკას ვადარე,  
რომლის ღემილი, შთაბეჭდილი,  
ღღემდე ვატარე...  
წარსული, სახემოხატული  
თუ მომავალი,  
წმინდა იმედი, რაღაც უცხო,  
გულს მიახარებს.  
ოდეს თვალების ნათელ სვეტში  
სევდა დავლანდე,  
მე გავიხსენე ჩემი გრძნობის  
ჰირველ დავლამდე  
მოპოვებული სიხარული,  
შენთვის სამხელი -  
ვერ გავამსილე მე ღიღებულ  
ფერთა დავლამდე.  
და თუ ეს ჩემი აღსარება  
არ იდარდება,  
შენს ხატებასთან სიამაუე  
ცრემლად ვარდება,  
დაღუმებული მეოცნებეც  
შუწლზე დაეცა...  
და ეს ცა, ტაძრის ნიშანსვეტი  
თითქოს ჰპირდება  
სიუფარულს, ცეცხლით კიდევ ერთხელ  
განავარდებას.



სამშობლო! - ჩემი სულის ხატება  
 მოაჩუქურთმე შენს სიდიადეს,  
 სიუვარულისთვის ბნელთა ნათება  
 ვარსკვლავეთივით აგიციალდეს.

ურმა მომავალის მშვიდი ნაწება,  
 წინაპრის ლოცვა, წმინდა ზნეობა.  
 მხოლოდ წინსვლა და არ დანაწება,  
 მხოლოდ ბრძოლა და მძლეთა მძლეობა.

აი, წარსულის დიდი ამაგი...  
 გადმოფენილი ქამზე ოლარი.  
 ქართული სული, უფრო ამაეი -  
 და ქართვლის ცრემლი ცეცხლად მთრთოლარი.

მაშ, მოიშორე ზეცავ ნაღველი,  
 მომავლის მეტი რა დაგვრჩენია?!  
 უკვდავებაა შენი სახელი, -  
 მარადისობა შენი გენია!

## პავპასიონი

სხივები მკერდზე გადაიღეწა,  
 გადაივარცხნა ცეცხლით ქედები  
 და სიამაჟით დიდებულ მზესაც  
 ეპვეთა ბინდი, თავგამეტებით...  
 თითქოს ოდესიაც მიოცნებია  
 ქართან, მწვერვალს რომ მოითარეშებს.  
 ფიქრები ზეცას იტეორცნებიან,  
 ებრძვიან დამის შავბნელ ფარეშებს.  
 გაურჩებული თერგის ქუჩილი  
 მაგონებს რისხვას შმაგი ენგურის,  
 მესმის წევდიადის გულის წუხილი -  
 დაღუმებული, ნათელს ემდურის.  
 მარტოობამაც მისი სნეული  
 სული ტრიუმფით ზეცას ამართა.  
 და ამ დროს მთვარემ მკრთალი სხეულით  
 ქავეკასიონზე გაინავარდა.

## ნაფშეპარზე

მშვიდი ფუსფუსი... ბერიისგან  
 შორს გარიესლი...  
 მდუმარებაში სულის ქვითინს  
 მოგეარი ეური.  
 ცრემლად აკვნესდნენ შორესლი,  
 ავი ჰანგები, -  
 მაინც ერთურთის სიუვარულში  
 გავითანგებით.  
 ბრწეინავ ოცნებით დარახტული  
 რწმენა გულდაგულ  
 მომიალერსებს, ფიქრით ძლეულს,  
 სევდით გულდაგულს  
 და თვით არ ვიცი ის სიამე, -  
 რომ უცხოდ ველი...  
 შემომატარებს მის სანახებს  
 დრო, უცოდველი.  
 სხვა გზა, საყალი წუთისოფლის  
 შავბნელ ვაკეზე,  
 არ დარჩენილა... მეც ოცნებით  
 რწმენას ვაქეზებ, -  
 მაგრამ ეოველი თვით ცხოვრების  
 აღბათ ხვედრია,  
 წინაპრები კი დაღვრილ სისხლს  
 ნე დამაუვედრიან,

რამე თუ, წმინდა ვირწეოდი  
მე მათს აკვანზე,  
თვით ჩემი სულიც იმ უმტკიცეს  
ძვლებში ჩაკვანდე  
და ვფიცავ მიწას, რომ საძვალეც  
ჩემი აქ არი! -  
რომ გვლავ ისუნთქებს, ხეალ  
წარსულის ნაამაგარი.



## ნე გამის უცდები!..

გავუსენ საკინძე  
 რითმების იარას  
 და თრთოლვით ავტინძე  
 სტრიქონთა ჯაგანი,  
 მწველმა სიხარულმა  
 დექსივით მიარა,  
 მერწმუნეთ! - არც მე ვარ  
 ახლებზე ჯაბანი.

და არც დავიჩემებ  
 ძველებურ ღიღებას,  
 იცოდეს ცხოვრებაშ -  
 არ მინდა ამდენი  
 ერთია სურვილი -  
 სულის დამშვიდება...  
 სინანულს თცნების  
 საძოვრად ჩავდენი.

დგას სიამაუეში  
 ლექსი მთა-გორებად,  
 სტრიქონ-სანახებში  
 სინას ელის ნათელი,  
 ღიღებულ სიტუაცია  
 მაღლით მთაგორებას...

ჩემი მომავალიც  
მშვიდობით რად ელის?!

იმ ზღვისფერ მშვენებით  
ქვესკნელს რომ მიხმობენ,  
ზეცად რომ დამჭრიან,  
მომავლის ზმანებით,  
მოგვდავი წუთები,  
ცეცხლს ვერ ჩამიქრობენ.  
მანებეთ რითმები,  
სიცოცხლე მანებეთ!..

თუ რამ ცხოვრებასთან  
დღეს წლები ვიდავე,  
ვამტვრიე დროების  
კუთვნილი ხუნდები.  
ვეტრფოდი... და კვლავაც  
ვინატრო, მინდა მე:  
კალმის ნაკვალევო,  
ნუ გამიხუნდები!

## სარჩევი

ღამის წერილი	3
წუთით...	5
თუ გინახავს	6
(პოეზიის ყაყაჩოსფერ...)	7
(როგორც ყოველთვის...)	8
სიზმარი	9
სიცოცხლის რჩევა	11
(მაფერე შენი ნაზი თითები...)	13
ფიასკო	14
იმედი	15
(მე გადავივლი ზეცის უღრანებს...)	16
მინდა გეტრფოდე	17
(წუთისოფელმა...)	18
ცხრამეტი წელი	19
პოეტის გარდაცვალება	21
(სიყვარულიდან სიძულვილამდე...)	22
(ტრიალებს ღრუბელი...)	23
(მე შენი სახე...)	24
(სამშობლოვ!..)	25
კავკასიონი	26
ნაფუძარზე	27
ნუ გამიხუნდები..	29

რედაქტორი - ჯევალ ინჯია

მხატვარი - შუშუნა ვაშაგაშვილი

ააწყო და დააკაბადონა - არჩილ მჭედლიშვილა

შპს „მერანი-3“-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის 36, №42  
ტელ : (+995 32) 92 29 92; (+995 32) 93 53 96  
E-mail: merani3@geo.net.ge

F 81227  
3



0610363  
20220101933

მე გაზაფხულზე მომწყვილა ლექსი  
და მეცენატა კოკორი რითმა,  
დღეს შესრულდება აჩრილის ეჭვის,  
ზამთარს ერთი ნლით თვალს მოვარიდე.

მე გაზაფხულზე მომწყვიდა ლექსი.  
ზამთარი, თვალს ჩოდ ვარიდებ შიშით-  
ფიქრში უამურ ფერებად ლექსი ის  
მეტოდმანაც სკვიდა და ყინვას შიშველს.

მე გაზიარებული მომწყურდა ლექსი  
და აღიღინდა ვამთხარი სულიკ...  
ამა, შესწორდა საღამოს ექვსი,  
მაგრამ ეს ლექსი არ ნანობს სულიკს